ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7359632

ნომერი: AR11075169

თარიღი : 27.01.2025

გაცემის თარიღი : 28.01.2025

გაცნობის თარიღი : 29.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ქერჩის ქუჩა, N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ კილასონია პ/ნ 01009008694
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 10 ბ. 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 27 იანვარს №AR11075169 განცხადებით მომართა ნიკოლოზ კილასონიამ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის

30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებით შეთანხმდა №01.11.05.029.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 30 ოქტომბრიდან 2025 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 21 ნოემბრის №7294967 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 6166.9 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 1446.5 კვ.მ., საერთო ფართობად: 10511.7 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებით შეთანხმებულ ფასადზე არასწორად იყო დახაზული №5 ღიობი, რაც წარმოდგენილ „ფასადი ა-თ ღერძებში“ გასწორებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს წარმოდგენილი „ფასადი ა-თ ღერძებში“ ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი ფასადი (ა-თ ღერძებში) არ იცვლება, აღნიშნულ ფასადზე ხდება მხოლოდ „გ-დ“ ღერძებში მდებარე ღიობის გასწორება. ამასთან, „გ-დ“ ღერძებში მდებარე ღიობი (№5) შეესაბამება სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებით შეთანხმებულ 0.00 ნიშნულის გეგმაზე და ალუმინის ვიტრინის სპეციფიკაციაზე დატანილ №5 ღიობს. აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი „ფასადი ა-თ ღერძებში“ ჩანაცვლება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული ფასადი (ა-თ ღერძებში) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ფასადით (ა-თ ღერძებში).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 30 ოქტომბრის №7269068 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.